ხატია გაბუნია

ქართულენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

2025 წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე ჩემს საყვარელ ქვეყანაში, იტალიაში. ტუშას უნივერსიტეტში. გაცვლითი პროგრამით წასვლა ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რაც მიმიღია. იტალიის პატარა ულამაზესი ქალაქი ვიტერბო ჩემი თავის უკეთ გაცნობის და განვითარების ადგილად იქცა.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ტუშას უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა და სწავლების მეთოდი ჩემთვის საკმაოდ განსხვავებული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. უნივერსიტეტში დამხვდნენ პროფესიონალი ლექტორები, რომლებმაც გამიზიარეს თავიანთი გამოცდილება და კარიერული რჩევები, რამაც ჩემს პროფესიაში თავდაჯერებულობა და გამბედაობა შემმატა. ლექციები ტარდებოდა როგორც აუდიტორიებში, ისე ონლაინ, რამაც მომცა საშუალება, სწავლასთან ერთად მემოგზაურა და ჩემი საერთაშორისო გამოცდილება კიდევ უფრო მრავალმხრივი და სასიამოვნო გამეხადა. ამ დროის განმავლობაში გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი და შევიძინე ძალიან კარგი მეგობრები, რომლებმაც ჩემი უცხოური თავგადასავლი კიდევ უფრო გააფერადეს. გარდა ამისა, მოვახერხე, უკეთ გავრკვეულიყავი ჩემს შესაძლებლობებში, მიზნებსა და რეალურ სურვილებში და მეტი ყურადღება დამეთმო პიროვნული განვითარებისთვის.

რაც შეეხება უცხოეთში ცხოვრებას, ყოველთვის მინდოდა ჩემი გზა იტალიასთან დამეკავშირებინა, ამიტომ იქ ყოფნა ჩემთვის განსაკურებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ვიწრო იტალიური ქუჩები, ულამაზესი სახლები, დიდებული ისტორიული ძეგლები და არქიტექტურა - ამ ყველაფრით ყოველდღიურად ტკბობა ნამდვილად ჯადოსნური გამოცდილება იყო. იტალიურ ცხოვრებაში არის რაღაც განსაკუთრებული, რაც გიზიდავს, იტალიელები ხომ ყველაფერში ეძებენ და პოულობენ ბედნიერებას, რაც შენზეც გადმოდის და მაგიური ენერგიით გავსებს. „Dolce far niente“ - ეს ფრაზა ზუსტად აღწერს იმ განცდას, რასაც ამ ქვეყნის მიღმა ძნელად თუ იპოვი.

საბოლოოდ, იტალიაში გატარებული ხუთი თვე, თავისი გამოწვევებით და არაჩვეულებრივი მოგონებებით, ყოველთვის მემახსოვრება, როგორც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ზღაპრული პერიოდი.